



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



ანაკლადობრივი  
ჯომენიხაციის  
ინსტიტუტი

# თანატოლთა მელიაცხიის ტრენინგ-მოდული

## ტრენინგთა სახელმძღვანელო

თბილისი  
2018

თანატოლთა მედიაციის  
ტრენინგ-მოდული

ტრენერთა სახელმძღვანელო

თბილისი  
2018

# ტრენინგთა სახელმძღვანელო

## თანატოლთა მდღიასიის ტრენინგ-მოდული

© არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტი

ავტორი: ნათია კუჭუხიძე

პროექტის მენეჯერები: ანა სუბელიანი, თამაზ ახობაძე

რედაქტორი: თამთა გოგიჩაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება: ნიკოლოზ შაიშმელაშვილი

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის მიერ მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

## სარჩევი:

ბულინგი და მისი იდენტიფიკაცია .....	5
შესავალი .....	7
რა არის ბულინგი .....	7
სად ვხვდებით ბულინგის შემთხვევებს .....	12
ვინ ხდება მსხვერპლი? .....	13
ბულინგის ფაქტზე ინფორმაციის შეგროვების ალგორითმი (ბულინგ სტრუქტურა) .....	16
<b>ანტი-ბულინგური პროგრამა სკოლაში</b> .....	20
შესავალი .....	21
პირველი გაკვეთილი: პროგრამის განცობა, წესების ცნების შემოტანა .....	23
მეორე გაკვეთილი: საგზაო ნიშნები, როგორც წესები .....	28
მესამე გაკვეთილი: ჩვენი კლასის წესები .....	31
მეოთხე გაკვეთილი: ჩვენი ემოციები .....	34
მეხუთე გაკვეთილი: ჩვენი ემოციები .....	37
მექვსე გაკვეთილი: ჩვენი ემოციები .....	40
მეშვიდე გაკვეთილი: სხვების დახმარება .....	43
მერვე გაკვეთილი: მხარდაჭერა=სიმამაცეს .....	46
მეცხრე გაკვეთილი: მხარდაჭერისა და დახმარების წესები .....	49
მეათე გაკვეთილი: ჩვენი უფლებები .....	52
ბიბლიოგრაფია .....	55





# თანატოლთა მედიაციის ტრენინგ-მოდული

წინამდებარე მოდული განკუთვნილია პედაგოგებისთვის, რომლებიც აპირებენ მომავალი თანატოლთა მედიატორების მომზადებას, ტრენინგი გათვლილია საშუალო და მაღალი კლასის მოსწავლეებისთვის. მისი მიზანია საშუალო და მაღალი კლასის მოსწავლეების გადამზადება მედიატორებად. ტრენინგის მიმდინარეობისას მონაწილეები ეცნობიან მედიაციის პროცესს, მის მიზნებსა და ამოცანებს, მედიატორის როლს, პასუხისმგებლობებს, თანატოლთა მედიაციის პროცესსა და ეფექტურად წარმართვისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, ვარჯიშობენ მათ ათვისებაში. მედიაციის პროცესის დასწავლა-გავარჯიშებისათვის წარმოდგენილია ზღაპრისეული მედიაციის გათამაშება, რაც აადვილებს საჭირო უნარების დანახვასა და განვითარებას. მოდულის დიდი ნაწილი ეთმობა მედიაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დასწავლას, გავარჯიშებას, კერძოდ: არავერბალური მინიშნებების ამოცნობას, არაგანსჯითი კომუნიკაციის დასწავლას, გავარჯიშებას და, ბოლოს, მედიაციის პროცესის როლურ გათამაშებას, რაც უკვე წინაპირობაა თანატოლთა მედიაციის პროცესის ჯერ სუპერვიზორის მეთვალყურეობის ქვეშ და შემდგომ, დამოუკიდებლად წარმართვისათვის.

აქ წარმოდგენილი ტრენინგის ხანგრძლივობა დაახლოებით 7 საათია და წარმოადგენს მედიაციის პროცესის სწრაფი იმპლემენტაციის მოდელს, რომელიც მომზადებულია „კონფლიქტების გადაჭრა თანატოლთა მედიაციის პროგრამით“- ბაზაზე<sup>1</sup>.

იმისათვის, რომ წარმოდგენილი ტრენინგი ძალიან დამლევლი და ინტენსიური არ აღმოჩნდეს მცირეწლოვანი მონაწილეებისათვის, რაც ხელს შეუშლის მედიაციის პროცესის ძირითადი უნარ-ჩვევების დასწავლა-გავარჯიშებას, რეკომენდირებულია მისი დაყოფა 2-3 ნაწილად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ უნარებში უკეთ გავარჯიშებისთვის, ტრენინგის დროის გახანგრძლივება.

რეკომენდირებული სატანდარტების მიხედვით, იმ სკოლებში, სადაც თანატოლთა მედიაციასთან ერთად, ხორციელდება კონფლიქტის მართვის ან ძალადობის პრევენციის პროგრამები, ტრენინგების მიმდინარეობის მინიმალური დრო არის:

---

<sup>1</sup> (Resolving Conflict with a Peer Mediation Program

A Manual for Grades 4-8 By Maureen F. Block and Barbara Blazej 2005

A collaborative project of the Peace Studies Program, University of Maine, and Maine Law & Civics Education, University of Southern Maine, with support from the Division of Family Health, Maine CDC, Department of Health and Human Services)

1. დაწყებით კლასებში: 12-18 საათი;
2. საშუალო კლასებში: 12-18 საათი;
3. მაღალ კლასებში: 15-20 საათი;
4. განგრძობით მედიატორთა ტრენინგზე: 12+ საათი წლის განმავლობაში<sup>2</sup>.

ტრენინგის მონაწილეთა საშუალო რაოდენობა 12-16 კაცია, თუმცა, შესაძლებელია, ტრენინგებმა და პედაგოგებმა ინდივიდუალური მუშაობისას, ცალკეული თემატური ბლოკების სახით გამოიყენონ მონაწილეთა დიდ ჯგუფებში.

ჯგუფში მუშაობა მიმდინარეობს შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- ▶ აქტიური ლექცია;
- ▶ როლური თამაშები;
- ▶ სიტუაციური ამოცანა;
- ▶ თერაპიული და საგანმანათლებლო სავარჯიშოები;
- ▶ მუშაობა მცირე ჯგუფებში;
- ▶ გონებრივი იერიში;
- ▶ დისკუსია.

---

<sup>2</sup> (Recommended Standards for School-Based Peer Mediation Programs  
1<sup>st</sup> edition ©1996 by the National Association for Mediation in Education  
2<sup>nd</sup> edition ©2007 by the Association for Conflict Resolution  
Both editions are available on-line at <http://www.acrnet.org>)

# 1

## აქტივობა: შესავალი, სახელების გაცნობა

**მიზანი:** მონაწილეთა ურთიერთგაცნობა, დაახლოება.

**სანგრძლივობა:** 10 წთ. (თითოეულ მონაწილეს 1-2 წთ. ეთმობა)

**მასალა:** მკერდზე მისამაგრებელი ფერადი ფურცლები (სახელების დასაწერად) და საწერი კალმები მონაწილეთათვის;

**აქტივობის მიმდინარეობა:** წამყვანი წარადგენს საკუთარ თავს, მონაწილეებს საწერი კალმებს ურიგებს, ფერად ფურცლებს, სთავაზობს ჯგუფის წევრებს დაწერონ საკუთარი სახელები ფურცლებზე, მიიმაგრონ მკერდზე და წარუდგინონ საკუთარი თავი ჯგუფს.

# 2

## აქტივობა: წესების არჩევა

**მიზანი:** ჯგუფის მუშაობაში წესრიგის შეტანა, მონაწილეების ჩართულობის ამაღლება.

**სანგრძლივობა:** 10 წთ.

**მასალა:** ფლიპჩარტი (ან დაფა) და მარკერი;

აქტივობის მიმდინარეობა: წამყვანი მონაწილეებს ეკითხება, თუ რა სჭირდება ჯგუფს იმისთვის, რომ ეფექტურად იმუშაონ? რა პირობებია ამისათვის საჭირო და ცდილობს ბავშვები მიიყვანოს აზრამდე, რომ წესების შემუშავება ძალიან დაეხმარებათ, სთხოვს, ყველამ თანაბრად მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესში, დგება დაფასთან და წერს ჯგუფის წევრების მიერ შეთავაზებულ წესებს, თუ წინადადება ზოგადი ან აბსტრაქტულია, ცდილობს დაეხმაროს მონაწილეებს მის ფორმირებაში, ხდება წესების ანალიზი, საჭიროების და ოპტიმალურობის განსაზღვრა, შეთანხმება სხვა მონაწილეებთან. წამყვანი ასევე უხსნის, რომ ეს წესები ძალაში რჩება მუშაობის დასრულებამდე, საჭიროების შემთხვევაში, მუშობის დროს, შესაძლებელია რომელიმე წესის დამატება ან შეცვლა. მნიშვნელოვანია წესების რაოდენობა არ იყოს ბევრი, საშუალოდ არ აღემატებოდეს 4-5-ს და არ იყოს დირექტიული, მაგ: „ნუ დავიგვიანებთ“, „ერთი ლაპარაკობს, დანარჩენი უსმენს“ და ა.შ.

**მიზანი:** ჯგუფში ურთიერთთანამშრომლობის გაღვივება, გახალისება.

**მასალა:** საშუალო ზომის ბურთი.

**ხანგრძლივობა:** 5-10წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** მონაწილეებს სთხოვეთ დადგნენ წრეში თქვენთან ერთად, გადაუგდონ ბურთი სხვა მონაწილეს ისე, რომ გამოიყენონ თვალთ კონტაქტი და სახელის დაძახება, იმ შემთხვევაში თუ მონაწილეებს ერთმანეთის სახელები ეშლებათ, წაახალისეთ ჯგუფი, რათა დაეხმაროთ, ერთად დაიძახონ ბავშვის სახელი.

**მინი ლექცია ან პრეზენტაცია თემაზე: „თანატოლთა მედიაცია“**

**მიზანი:** მონაწილეების გარკვევა თანატოლთა მედიაციის არსში, მის მიზნებსა და ამოცანებში, ასევე მედიაციის პროცესის ძირითად პრინციპებში (იხ. თანატოლთა მედიაციის კონცეპტუალიზაცია).

**მასალა:** მინი ლექცია ან პრეზენტაცია თემაზე: “თანატოლთა მედიაცია“;

**ხანგრძლივობა:** 30წთ.

აქტივობის მიმდინარეობა: გააკეთეთ მინი ლექციის პრეზენტაცია ჯგუფის წევრების წინაშე, გაამახვილეთ ყურადღება მედიაციის მთავარ პრინციპებზე:

- ▶ მიუკერძოებლობა;
- ▶ ნებაყოფლობითობა;
- ▶ კონფიდენციალურობა.

აღნიშნეთ მედიაციის ეტაპები და მედიატორის უნარ-ჩვევები. სთხოვეთ ჯგუფის წევრებს დაგისვან კითხვები, პრეზენტაციის მიმდინარეობისას.

**უკუკავშირი:** პრეზენტაციის დასასრულს ჰკითხეთ ჯგუფის წევრებს, თუ რა იყო მათთვის საინტერესო? რა იყო გაუგებარი? როგორ ჰგონიათ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ წარმატებით განხორციელდეს თანატოლთა მედიაციის პროცესი?

**მიზანი:** არავერბალური განცდების გამოხატვა, გახალისება, გააქტიურება.

**ხანგრძლივობა:** 5 წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** დადებით წრეში ჯგუფის წევრებთან ერთად, წამყვანმა უნდა შეატყუოს ხელები და გააკეთოს წრიული მოძრაობები, რომელსაც იმეორებს მეორე ადამიანი მის მარჯვნივ მდგომი და ასე მთელ წრეზე; წამყვანი ცვლის მოძრაობას და ერთ ხელს ატყაპუნებს მეორე ხელისგულზე, დანარჩენები იმეორებენ მის მოძრაობას; წამყვანი ხან უმატებს ხელების ტყაპა-ტყუპს, ერთმანეთზე, მუხლებზეც, ხან ანელებს, თითქოს ახდენს „შტორმის“ იმიტირებას, როდესაც ხმაური მაქსიმუმს მიაღწევს, თანდათან იკლებს, ხელების ტყაპუნი წყდება და „შტორმიც“ გადაივლის.

**მიზანი:** მოსწავლეებისათვის მედიატორის როლის პასუხისმგებლობებისა და საჭირო უნარების გაცნობიერება.

**მასალა:** ფლიპჩარტის ფურცლები და მარკერები მონაწილეთათვის;

**ხანგრძლივობა:** 20 წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** ჯგუფის წევრებს სთხოვეთ დაყოფა მცირე, 3-4 კაციან ჯგუფებად, თითოეულმა ჯგუფმა გამოსახოს ფლიპჩარტზე მედიატორი, ჩამოწერონ მისი ხასიათობრივი თავისებურებები და მედიაციისთვის საჭირო უნარები, დავალების ხანგრძლივობა 10-15 წთ, დავალების დასასრულს თითოეული ჯგუფი ახდენს მინი პრეზენტაციას და წარმოადგენს საკუთარ ხედვას მედიატორის როლის შესახებ. სესიის დასასრულს, წამყვანი ახდენს პრეზენტაციების შეჯამებას და გამოჰყოფს თანატოლთა მედიატორის იმ უნარებსა და ხასიათობრივ შტრიხებს, რაც უზრუნველყოფს მედიაციის პროცესის ეფექტურ წარმმართვას. (იხ. დანართი1, მედიატორის როლი);

**კითხვები უკუკავშირისათვის:** თავს როგორ გრძნობენ? რა იყო ახალი აღმოჩენა ამ სავარჯიშოს მიმდინარეობისას, რაზეც ადრე არ დაფიქრებულან?

**მიზანი:** მედიაციის ნაბიჯების დასწავლა, გავარჯიშება.

**მასალა:** ფერადი ნაბეჭდი ფურცლები დავალებითურთ.

**ხანგრძლივობა:** 10-15 წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** მოსწავლეები შეძლებენ ისწავლონ და ჩაატარონ მედიაცია ამ აქტივობის განმავლობაში. ისინი მუშაობენ წყვილებში ან მცირე ჯგუფებში. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ მედიაციის 10 ნაბიჯი. „დააკობირეთ“ ეს ნაბიჯები ფერად ფურცლებზე, მიეცით თითო შეკვრა თითოეულ ჯგუფს (ნუმერაციის გარეშე). სანამ დაარიგებდეთ, აურიეთ თანმიმდევრობა. სთხოვეთ მოსწავლეებს, იმუშაონ ერთობლივად, რათა დაალაგონ ეს ნაბიჯები თანმიმდევრულად, გამოიყენონ მაგია ან იატაკი. როდესაც სტუდენტები დაასრულებენ, აჩვენეთ/ან აუხსენით მათ მედიაციის ნაბიჯების სწორი თანმიმდევრობა. (იხ.დანართი 2, მედიაციის ნაბიჯები).

**კითხვები უკუკავშირისათვის:** რა იყო მარტივი ამ სავარჯიშოს შესრულებისას? რა გაგიჭირდათ? რა იყო აღმოჩენა თქვენთვის?

**ოქროსკულუღას და დათვის ბელის ზღაპრისეული მედიაციის როლური გათამაშება.**

**მიზანი:** მედიაციის პროცესის გავარჯიშება, გაცნობიერება.

**მასალა:** მედიაციის სცენარი 4 მონაწილისათვის (მედიაციის სცენარი, იხ. დანართი 3). ასევე, დამხმარე კითხვები მედიატორებისათვის (მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას და როლური გათამაშების დროს გამოსაყენებლად, იხ. დანართი 11).

**ხანგრძლივობა:** 40 წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** მედიაციის პროცესის სადემონსტრაციოდ, აირჩიეთ ოთხი მოხალისე, გადაანაწილეთ როლები, წარმოადგინეთ ოქროსკულუღას და დათვის ბელის ზღაპრისეული მედიაცია (მედიაციის სცენარი, იხ. დანართი 3). სთხოვეთ მედიატორების როლის შემსრულებლებს, გაიხ-

სენონ ის უნარები, რაც სჭირდებათ მედიაციის მიმდინარეობისას, ჯგუფის დანარჩენ წევრები კი დარჩნენ დამკვირვებლის როლში.

გათამაშების პროცესის უკეთ წარმართვისათვის, ფლიჩარტზე ჩამოწერეთ რეფრეიმიზის მიზნები:

- ▶ დაპირისპირების დეესკალაცია და ემოციების დამშვიდება;
- ▶ პოზიციებიდან ინტერესებზე გადასვლა;
- ▶ პრობლემების, როგორც მოგვარებადი საკითხების აღწერა;
- ▶ ერთობლივი მიზნების, ან შეთანხმებების შემუშავება, რაც კი შესაძლებელია.

## იყავით ფხიზლად ნაცვალსახელების მიმართ: სპიკერის ნაცვალსახელების არჩევანი უზრუნველყოფს მისი აზრების გამოცნობის გასაღებს.

**გათამაშების დასასრულს:** ჰკითხეთ მონაწილეებს, თავს როგორ გრძნობენ? რა იყო მარტივი და რთული გათამაშებისას? რა განცდები ჰქონდათ მოდავე მხარეებს, დათვის ბელისა და ოქროსკულულას გათამაშებისას? შეიცვალა თუ არა რამე პროცესის დასასრულს? ასევე, რა განცდები ჰქონდათ მედიატორებს, პროცესის დასაწყისსა და მის ბოლოს? მათი აზრით, რამ განაპირობა პროცესის ასეთი დასასრული? დამკვირვებლებსაც ჰკითხეთ, თავს როგორ გრძნობენ? რისი დაკვირვება იყო მათთვის საინტერესო?

9

### აქტივობა: მედიაციის „სიტყვების ქსელის“ შექმნა

**მიზანი:** დაეხმაროს მოსწავლეებს გაითავისონ მედიაციის ანბანი, იმისათვის, რომ შექმნან „ქსელი“, რომელიც აკავშირებს ყველას ერთმანეთთან, როგორც საზოგადოებას.

**მასალა:** ძაფის გორგალი;

**ხანგრძლივობა:** 10 წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** ჯგუფის წევრები დგებიან წრეში, ერთ-ერთი მონაწილე იწყებს სავარჯიშოს, უჭირავს ძაფის გორგლის ბოლო, ამბობს მედიაციასთან დაკავშირებულ სიტყვას და უგდება ამ გორგალს სხვა მოთამაშეს; მოთამაშე, რომელიც იჭერს, ამბობს სიტყვას, რომელიც ასოცირდება თანატოლთა მედიაციასთან, შემდეგ ეს მოწაფე იჭერს ძაფს, ხოლო გორგალს ესვრის სხვა მონაწილეს, რომელიც ამბობს ახალ სიტყვას. ბურთის სროლა გრძელდება მანამ, სანამ ყველა არ მიიღებს მონაწილეობას. ჯგუფი ქმნის მედიაციის „სიტყვების ქსელს“.



**მიზანი:** მედიატორების გავარჯიშება მედიაციისას, სხეულის ერთ გამოხატული განცდებისა და ვერბალური მინიშნებების ამოცნობაში.

**მასალა:** ქალაღდის პატარა ფურცლები, ქუდი ან პარკი, ფურცლების ჩასაყრელად.

**ხანგრძლივობა:** 15 წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** ბავშვები სხდებიან წრეში ან ნახევარწრეში. წამყვანი ფურცლებზე ჩამოწერს იმ განცდებს, გრძნობებს, რომლებსაც ბავშვები მოიფიქრებენ, მაგ.: ბრაზი, სინანული, მწუხარება, სიყვარული, სიხარული, შიში და ა.შ. ფურცლები იყრება ყულაბაში და შემდეგ წრეში ჩამოტარდება, თითოეული ბავშვი ამოიღებს ფურცელს და მასზე აღნიშნულ განცდას არავერბალურად წარმოადგენს. დანარჩენმა მონაწილეებმა უნდა გამოიცნონ, თუ რომელი განცდის ჩვენებას ცდილობს მათი ამხანაგი. თუ მონაწილე ვერ ახერხებს, უჭირს გადმოსცეს ან წარმოადგინოს განცდა, მოხალისე ან ფასცილიტატორი ეხმარება მას.

**კითხვები უკუკავშირისათვის:** რა იყო რთული და რა გაგიაღვილდათ? რა იყო აღმოჩენა?

**მიზანი:** მედიატორთა გავარჯიშება აქტიურ მოსმენასა და მოსმენილის უკუერეფლექსიაში.

**მასალა:** არ საჭიროებს;

**ხანგრძლივობა:** 10-15წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** ბავშვებს სთხოვთ, გააკეთონ შიდა და გარე წრე სკამებისგან, შემდეგ წყვილები, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ სხედან, უზრუნველყავით სალაპარაკო თემით, მაგ.: სახალისო დასვენება და ა.შ. ცოტა ხნის მერე სთხოვთ შიგნითა წრეში მსხდომებს, რომ შეცვალონ მეწყვილე მარცხნივ სკამის გადაადგილებით და ასევე სალაპარაკო თემა. გამოიყენეთ მზა წინადადებები, მაგ.: „ჩემი საყვარელი საჭმელი არის....“ წაახალისეთ ბავშვები, ისაუბრონ საკუთარი თავის შესახებ.

**უკუკავშირი:** რა იყო ადვილი და რთული სავარჯიშოს მიმდინარეობისას? რას გრძნობდით, როდესაც თქვენ საუბრობდით? რას გრძნობდით, როდესაც უსმენდით? რა იყო თქვენთვის აღმოჩენა, ამ სავარჯიშოს მიმდინარეობისას?

12

## აქტივობა: დასაწყისი ყოვლისმთქმელია

**მიზანი:** მედიაციის პროცესის გახსნის დასწავლა, გავარჯიშება.

**მასალა:** თაბახის ფურცლები და კალმისტრები (იხ.დანართი 4, მედიაციის გახსნა).

**ხანგრძლივობა:** 10-15 წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** მედიატორები გადიან პრაქტიკას, თუ როგორ იგრძნონ თავი კომფორტულად მედიაციის პროცესის დასაწყისში, რაც უმნიშვნელოვანესია მთელი პროცესის მიმდინარეობისათვის.

თითოეულ მოსწავლეს სთხოვენ გაივარჯიშოს მედიაციის გახსნის განცხადში. მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ მოცემული სცენარიდან ერთ-ერთი ან თავად სცადონ (იხ.დანართი 4, მედიაციის გახსნა).

გახსნა უნდა მოიცავდეს:

- ▶ შესავალს მედიატორებისა და მოდავეებისათვის;
- ▶ განმარტებას მედიაციის საჭიროების შესახებ;
- ▶ შეკითხვას, მოდავეებს სჭირდებათ თუ არა ფუნდამენტური წესები;
- ▶ კონფიდენციალურობის განმარტებას;
- ▶ კითხვას, თუ ვის ურჩევნია რომ დაიწყოს.

**კითხვები უკუკავშირისათვის:** რას გრძნობდით პროცესის მიმდინარეობისას, რა იყო მარტივი და რთული თქვენთვის ამ პროცესში?

13

## აქტივობა: „აისბერგის წვერი“

**მიზანი:** მედიატორების გავარჯიშება, კონფლიქტის მამოძრავებელი ძირითადი პრობლემებისა და საჭიროებების დასწავლასა თუ გამოვლენაში.

**მასალა:** ფლიპჩარტის ფურცელი და მარკერები, „ფორთოხლის ისტორია“ (იხ.დანართი „ფორთოხლის ისტორია“).

## სანგრძლივობა: 30 წთ.

- ▶ ჯგუფი განიხილავს აისბერგს, როგორც მეტაფორას, თუ რა ხდება მედიაციის დროს, მოკლედ აღნიშნავს იმას, რა სახის გრძნობებია უპირველესად გამოვლენილი ტიპურად და რომელია კონფლიქტის მამოძრავებელი (თუმცა, დამალული) და საჭიროებს ზედაპირზე ამოყვანას.

## აისბერგის მეტაფორა

- ▶ ამ აქტივობისთვის ვიყენებთ ფლიპჩარტის ქალაქს, ვხატავთ აისბერგს, განვმარტავთ, რომ აისბერგის მხოლოდ პატარა ნაწილია ხილული, იმ დროს, როდესაც მისი დიდი ნაწილი წყლით არის დაფარული და უხილავია ჩვენთვის. ჩამოვწერთ, (ტვინის შტურმი) თუ როგორი სახის ემოციებია მარტივად ამოსაცნობი კონფლიქტში (მაგ.: სევდა, ბრაზი, ფრუსტრაცია და ა.შ.) ესაა წყლის ხაზის ზევით და ისინი, რაც არის ჩვეულებრივ დაფარული ან „უჩინარი“ კონფლიქტისას (მაგ.: შიში, უნდობლობა, ტკივილი, იზოლაცია, უუნარობა და სხვ.) წყლის ნიშნულის ქვეშ.
- ▶ წაიკითხეთ „ფორთოხლის ისტორია“ ხმამაღლა და განიხილეთ ჯგუფში, როგორ მიესადაგება ეს იმ განცდებსა და საჭიროებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს კონფლიქტს. (იხ.დანართი 5, „ფორთოხლის ისტორია“).

**კითხვები უკუკავშირისათვის:** რა განცდები და საჭიროებები ჰქონდათ კონფლიქტში მონაწილე პირებს? როგორ გგონიათ, მოგვარდა თუ არა პრობლემა? რა იყო საჭირო პრობლემის მოსაგვარებლად?

14

## აქტივობა: დასვით სწორი კითხვა

**მიზანი:** მედიატორების ღია კითხვების დასმაში გავარჯიშება. ისინი აგროვებენ ინფორმაციას გამჭვირვალობისა და გარკვევისთვის. იწუნებენ „დახურულ“ კითხვებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ „კი“ და „არა“ პასუხები. „ღია“ კითხვები უბიძგებენ მოდავეებს, ილაპარაკონ საკუთარი გრძნობებისა და აზრების შესახებ, ნაცვლად მედიატორთა ვარაუდებისა. ეს სავარჯიშო აძლევს მედიატორებს საშუალებას, გაივარჯიშონ ღია შეკითხვების დასმაში, ნაცვლად დახურული კითხვების დასმისა, რომელთა პასუხია „ხო“ ან „არა“.

**მასალა:** იხ.დანართი „მარტივი დახურული კითხვები“, ასევე იხ.დანართი 6, „დახურული კითხვები ღია დასასრულით, მათი რეფერეიმინგისათვის“. (იქონიეთ რამდენიმე ვარიანტი მონაწილეებისათვის).

**ხანგრძლივობა:** 10-15 წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** თითოეულ მოსწავლეს ეძლევა დახურული კითხვა და სთხოვენ, გარდაქმნას ის ღია კითხვად. (იხ.დანართი 6, „მარტივი დახურული კითხვები“).

ამ აქტივობისთვის დაწერეთ შემდეგი კითხვები ფურცელზე ან ფურცლების დასტაზე, დაჭერით და დაურიგეთ მოსწავლეებს. ჩვენ გვაქვს თანდართული იგივე კითხვები, რომლებიც დასმულია როგორც ღია შეკითხვები, მათი რეფერეიმინგის შედეგად (იხ.დანართი 7, „დახურული კითხვები ღია დასასრულით, მათი რეფერეიმინგისათვის“). სავარჯიშოს დასასრულს, სთხოვეთ მოსწავლეებს, მათ მარცხნივ მსხდომებს მიმართონ ღია, ხან დახურული კითხვებით, დააკვირდნენ როგორც საკუთარ, ასევე მოპასუხის სიტყვებსა და განცდებს.

**კითხვები უკუკავშირისათვის:** რა იყო მარტივი და რთული ამ სავარჯიშოში? როგორ გგონიათ, რაში დაგეხმარებათ ეს სავარჯიშო?

15

**აქტივობა:** გქონდეთ თქვენი „ლილაკები“ ჩართული

**მიზანი:** გავარჯიშება ნეიტრალიტეტის შენარჩუნებასა და საკუთარ განცდებთან გამკლავებაში.

**მასალა:** ფლიპჩარტის ფურცლები და მარკერები.

**ხანგრძლივობა:** 15-20 წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** როგორც წამყვანმა, აღნიშნეთ, რომ სხვადასხვა სიტუაციის რეფლექსიისას, მედიატორებს შესაძლოა გაუჭირდეთ ნეიტრალიტეტის შენარჩუნება და საკუთარ გრძნობებთან გამკლავება. შეიძლება წარმოიშვას სხვა სირთულეებიც.

- ▶ განიხილეთ თუ რატომ არის მნიშვნელოვანი დარჩე ნეიტრალური მედიაციის დროს: (რომ იყო სანდო, სამართლიანი და მხარდამჭერი).
- ▶ მოსწავლეები უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უპასუხონ შემდეგ სიტუაციებს:
  - თუ მოდავე ამბობს რაღაც ისეთს, რომ მედიატორმა იცის არის

აშკარა ტყუილი...

- (მედიატორს შეუძლია თქვას: “მე ძალიან მეუხერხულა შენი ნათქვამი, გთხოვ, უფრო დაწვილებით თქვა, რა იგულისხმე”).

- თუ მოდავემ იგულისხმა ან თქვა რაიმე მტკივნეული მედიატორისთვის მედიაციის პროცესში...

- (მედიატორს შეუძლია თქვას: „ამ სახის განცხადება მტკივნეულია, აზიანებს. ალბათ, სჯობს შევისვენოთ, დავმშვიდდეთ და ამის მერე დავუბრუნდეთ საკითხებზე მუშაობას“).

- თუ ერთ-ერთი მოდავე იცინის უსაფუძვლოდ იმაზე, რასაც ამბობს მეორე მოდავე...

(მედიატორს შეუძლია თქვას: „მგონი, რომ ეს შეუსაბამო პასუხია და გთხოვთ, პატივისცემით მოვეკიდოთ მედიაციის პროცესს“).

**კითხვები უკუკავშირისათვის:** რა იყო მარტივი, რაში იყო სირთულე სავარჯიშოს მიმდინარეობისას, როგორ გგონიათ, რა დაგეხმარებათ ნეიტრალიტეტის შენარჩუნებაში მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას?

16

## აქტივობა: პერსპექტივის დანახვა

**მიზანი:** გავარჯიშება სხვადასხვა კუთხიდან კონფლიქტური სიტუაციის დანახვასა და განსხვავებული ხედვის მიღება-გაზიარებაში.

**მასალა:** იხ.დანართი „ბორინგის ორაზროვანი ნახატი“, იხ.დანართი „სავარჯიშოების ვარიანტები“.

**ხანგრძლივობა:** 40 წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** სავარჯიშოს მიმდინარეობისას მედიატორები აცნობიერებენ, რომ არსებობს უამრავი ხედვა საკითხის გარშემო და პრაქტიკა გვაჩვენებს სხვადასხვა პერსპექტივას სპეციფიკურ კონფლიქტურ სიტუაციებში.

**ნაწილი 1:** ვიყენებთ ბორინგის ორაზროვან ნახატს, როგორც მაგალითს. მოსწავლეები ერთმანეთს უყვებიან, თუ როგორ ხედავენ საგნებს სხვადასხვა პერსპექტივიდან. (იხ.დანართი 8, ბორინგის ორაზროვანი ნახატი).

**საფეხური 1:** ჯგუფს წარუდგინეთ ბორინგის ორაზროვანი ნახატი. მონაწილეები სიჩუმეში აკვირდებიან გამოსახულებას.

**საფეხური 2:** დაკვირვების შემდეგ, თითოეული მონაწილე გამოთქ-

ვამს აზრს, თუ რა დაინახა ნახატზე. წამყვანი აჯამებს გამოთქმულ ვერსიებს, რომლებიც ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: მოხუცი და ახალგაზრდა ქალი, თუმცა, შეიძლება გამოთქმული იყოს სხვა მოსაზრებანიც, მაგ.: ფარა, მწყემსი, ბიჭი, კოლბა და ა.შ.) წამყვანი თავად შემოხაზავს ორივე გამოსახულების კონტურებს, რათა მონაწილეებმა კარგად დაინახონ ისინი.

**საფეხური 3:** მონაწილეები მსჯელობენ, რამ გამოიწვია ერთი ნახატის სხვადასხვანაირად აღქმა, დისკუსია თავისუფლად მიმდინარეობს. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეები მხოლოდ ერთ ნახატს ხედავენ, წამყვანს შეუძლია წაახალისოს, რათა ჩამოყალიბდეს განსხვავებული აზრები.

**ნაწილი 2:** მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ არსებობს მრავალი შეხედულება, განსხვავებული ხასიათის ადამიანი კონფლიქტურ სიტუაციაში სხვადასხვანაირად იფიქრებს და იგრძნობს. (იხ, დანართი 9, „კონფლიქტები განსხვავებული ხედვის წერტილებიდან“).

დაყვით ჯგუფი 3-4 კაციან მცირე ჯგუფებად, შესაბამისი კონფლიქტური სიტუაციის სცენარიდან გამომდინარე, სთხოვეთ მონაწილეებს იმუშაონ მცირე ჯგუფებში 5-10 წთ, შემდეგ წაიკითხონ მათი კონფლიქტური სიტუაცია მთელი ჯგუფის წინაშე, მერე კი წარმოადგინონ საკუთარი ხედვა მათი როლიდან გამომდინარე, თუ რას ფიქრობენ, რას გრძნობენ, ცალ-ცალკე მოუსმინეთ ყველა ქვეჯგუფს.

**უკუკავშირი:** ჰკითხეთ მონაწილეებს, თუ რას გრძნობდნენ სავარჯიშოს მიმდინარეობისას? რა იყო მათთვის მარტივი და რთული? რა აღმოჩენები გააკეთეს? როგორ დაეხმარება ეს სავარჯიშო მათ მედიაციის პროცესის წარმართვაში?

17

**აქტივობა:** მედიაციის პროცესი

**მიზანი:** თანატოლთა მედიაციის პროცესის დასწავლა, გავარჯიშება.

**მასალა:** იხ. დანართი 10, „მარტივი სცენარები, როლური გათამაშება“ (თანატოლთა მედიაციის ტრენინგისა და გავარჯიშებისათვის) ასევე, დამხმარე კითხვები მედიატორებისათვის (იხ. დანართი 11, „მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას და როლური გათამაშების დროს გამოსაყენებლად“).

**ზანერძლივობა:** 40-60 წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** აქტივობის დაწყებამდე კედელზე გამოსაჩენ ადგილას გააკარით ფლიპჩარტები აღრინდელი აქტივობებიდან, რომლებიც მოიცავენ:

1. მედიაციის პრინციპებს;
2. მედიატორის უნარ-ჩვევებს;
3. მედიაციის ეტაპებს.

(ზშირ შემთხვევაში, მედიაციის დაწყებამდე, საჭიროა მედიაციის ე.წ. ნულოვანი ეტაპი- მედიატორების წინასწარი ცალ-ცალკე შეხვედრა და-პირისპირებულ მხარეებთან. ეს ეტაპი აუცილებელია, თუ კონფლიქტის ტემპერატურა ძალიან მაღალია და ამას შეუძლია მედიაციის პროცესს ხელი შეუშალოს. ამ დროს მედიატორი იყენებს აქტიურ მოსმენას და ემოციების ვენტილაციას).

დაყავით მთელი ჯგუფი 4 კაცის მცირე ჯგუფებად მედიაციის პროცესის როლური გათამაშებისათვის, სთხოვეთ მონაწილეებს, გადაინაწილონ როლები, გაიხსენონ ტრენინგის განმავლობაში დასწავლილი უნარ-ჩვევები, მედიაციის ეტაპები და ეცადონ მედიაციის პროცესის გათამაშებას, არსებული სცენარის მიხედვით. გათამაშების დასასრულს, მონაწილეებს სთხოვეთ გამოვიდნენ როლებიდან და გაიმბონ საკუთარი განცდების და ფიქრების შესახებ მედიაციის მიმდინარეობისას, ყველა მონაწილეს დაუთმეთ საკმარისი დრო უკუკავშირისათვის.

**უკუკავშირი:** ჰკითხეთ მონაწილეებს: როგორ ჩაიარა მედიაციის პროცესმა? რა იყო მარტივი და რთული თქვენთვის, პროცესის მიმდინარეობისას? რა შეცდომები დააფიქსირეთ?(კითხვა, როგორც დამკვირვებლებს (თუ გყავთ), ასევე მონაწილეებს); გამოვლინდა თუ არა მხარეთა საერთო ინტერესები? მივიდნენ თუ არა მხარეები შეთანხმებამდე? თუ არა, თქვენი აზრით, რა იყო ხელისშემშლელი? დარჩნენ თუ არა მხარეები შედეგით კმაყოფილი?

**კომენტარი:** ეცადეთ, არ გქონდეთ შემფასებლური ტონი, აქცენტი გააკეთეთ პროცესის მიმდინარეობასა და არა შედეგებზე, აუხსენით მოსწავლეებს, რომ ისინი მხოლოდ ახლა სწავლობენ მედიაციის პროცესს, შესაბამისად, „შეცდომები“ ნორმალური მოვლენაა ამ ეტაპზე, ხოლო მათ დანახვა-აღიარებას კი მივყავართ მედიაციის პროცესის დასწავლა-დახვეწამდე.

შეგიძლიათ აქტივობის განმეორება მანამ, სანამ ყველა მონაწილე არ იქნება მედიატორის როლში.

**მიზანი:** მედიაციის შეცდომების გაცნობიერება, აღმოჩენა.

**მასალა:** „მარტივი სცენარები, როლური გათამაშება“ (იხ.დანართი 10, „თანატოლთა მედიაციის ტრენინგისა და გავარჯიშებისათვის“) ასევე,დამხმარე კითხვები მედიატორებისათვის (იხ. დანართი 11, „მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას და როლური გათამაშების დროს გამოსაყენებლად“).

**ხანგრძლივობა:** 20-30წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:** ჯგუფის წევრებს სთხოვეთ შეარჩიონ გათამაშების მონაწილეები,ორი კონფლიქტში მყოფი ადამიანი და ორი მედიატორი, ჯგუფის დანარჩენი წევრები იქნებიან დამკვირვებლის როლში,რაც ნიშნავს, რომ გათამაშების დამთავრებამდე არ ერთვებიან პროცესის მიმდინარეობაში, არიან ჩუმად და აკვირდებიან მიმდინარე პროცესებს. მონაწილეები, მოსწავლეები ან ზრდასრულები, მედიაციის როლური გათამაშებისას, მედიაციის პროცესში განზრახ უშვებენ მრავლობით შეცდომებს. იმ მოსწავლეებს, რომლებიც არიან დამკვირვებლის როლში, სთხოვენ, აღნიშნონ ეს შეცდომები, თუ ხელავენ, ასევე გამოყონ მედიაციის პროცესის მიმდინარე ნაბიჯები.

- ▶ ზოგიერთი შეცდომის ტიპი შესაძლოა მოიცავდეს:
- ▶ კონფიდენციალურობის აღნიშვნის დავიწყებას;
- ▶ ერთი მოდავისათვის იმის თქმას, რომ შეუძლია დაიწყოს (ნაცვლად კითხვისა, თუ ვის უნდა, რომ დაიწყოს);
- ▶ ერთ-ერთი მოდავის მხარის დაჭერა;
- ▶ მოდავეებისათვის იმის თქმა, თუ როგორ უნდა გადაჭრან მათი პრობლემა;
- ▶ უყურადღებოდ ყოფნა;
- ▶ იმ მოდავის შეჩერება, რომელიც ლაპარაკობს.

**უკუკავშირი:** ჰკითხეთ მონაწილეებს: როგორ ჩაიარა მედიაციის პროცესმა? რა იყო მარტივი და რთული მათთვის პროცესის მიმდინარეობისას? რა შეცდომები დააფიქსირეს? (კითხვა, როგორც დამკვირვებლებს, ასევე მონაწილეებს) გამოვლინდა თუ არა მხარეთა საერთო ინტერესები? მივიდნენ თუ არა მხარეები შეთანხმებამდე? დარჩნენ თუ არა მხარეები კმაყოფილი შედეგით? თუ არა, რა იყო ხელისშემშლელი, მათი აზრით? ჰკითხეთ, როგორც მონაწილეებს ასევე დამკვირვებლებს, რაში დაეხმარა მათ ეს სავარჯიშო?



**მიზანი:** ურთიერთთანამშრომლობის განცდის გაძლიერება.

**მასალა:** ფლიპჩარტი და სახატავი ფანქრები, ფლომასტერები;

**ხანგრძლივობა:** 20-30წთ.

**აქტივობის მიმდინარეობა:**

**ნაწილი 1:** მონაწილეებს ვთხოვთ გაიხსენონ, თუ რა ისწავლეს მთელი ტრენინგის განმავლობაში და შექმნან ჯგუფური ნახატი თანატოლთა მედიაციის თემაზე. მიაქციეთ ყურადღება, რომ სავარჯიშოს მიმდინარეობისას, ჯგუფის თითოეული წევრი იყოს ჩართული, ნუ დაგავიწყდებათ მონაწილეთა წახალისება.

**უკუკავშირი:** ჰკითხეთ მონაწილეებს, რას გრძნობდნენ სავარჯიშოს მიმდინარეობისას? რა დაეხმარათ და რამ შეუშალათ ხელი ამ აქტივობის განხორციელებისას, ახლა როგორ გრძნობენ თავს? შესთავაზეთ, დაარქვან შექმნილ ნახატს სახელი.

**ნაწილი 2:** მოსწავლეთა უკუკავშირი პროგრამასთან დაკავშირებით. სთხოვეთ მოსწავლეებს, წერილობითი ან ზეპირი ფორმით დაასრულონ წინადადებები:

ამ პროგრამის მანძილზე მივხვდი...

პროგრამიდან ყველაზე მეტად დამამახსოვრდა...

პროგრამის გავლის შემდეგ შემიძლია...

### მედიატორის როლი

მოსწავლეებმა, ჩვეულებრივ, უნდა მოითხოვონ და/ან იყვნენ რეკომენდებული იმის შესახებ, გახდნენ მედიატორები, ასევე უნდა მიიღონ მონაწილეობა რამდენიმე საათიან ტრენინგებში, რომელთა მიმდინარეობისას ისინი სწავლობენ და გადიან პრაქტიკას კომუნიკაციის უნარებსა და მედიაციის პროცესის სპეციფიკაზე. მოსწავლე მედიატორებს შეუძლიათ წაიყვანონ მედიაცია როგორც მართო, ასევე სხვა მედიატორ სტუდენტთან, როგორც კო-მედიატორთან. მედიატორები ყოველთვის როლურ მოდელებად და ლიდერებად მოიაზრებიან თავიანთ სკოლაში, ამასთან ერთად, არის მოლოდინი, რომ იმოქმედებენ კეთილსინდისიერად სხვებთან მიმართებაში.

მედიატორი მოქმედებს, როგორც ნეიტრალური მესამე მხარე, რათა გაუძღვეს მოლაპარაკებებს, თანატოლთა შორის კონფლიქტში.

1. უსმენს კარგად, რომ გაიგოს უკეთ;
2. თავს არიდებს მცდელობას გამოასწოროს, უთხრას, შესთავაზოს, ან მისცეს რჩევა;
3. აზუსტებს, იმისათვის, რომ უფრო უკეთ გაიგოს.
  - ▶ Restating - ხელახალი ფორმულირება (ან დაზუსტება);
  - ▶ Asking open-ended questions - ღია კითხვების დასმა;
  - ▶ Reframing-refreimingi (ჩარჩოს ცვლილება);
  - ▶ Being silent - ჩუმად ყოფნა;
  - ▶ Looking and listening for cues to return the power to the parties - უყუროს და უსმინოს მხარეების რეპლიკებს, რათა მხარეებს ძალა აღუდგინოს.
4. სთავაზობს თითოეულ მოდავე მხარეს, მოახდინოს რეაგირება იმაზე, რასაც ამბობს მეორე მხარე;
5. იძლეობს ამ ნაბიჯებს იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროება მოითხოვს.

## მედიაციის ნაბიჯები

1. მისალმება და შესავალი;
2. საჭიროებების დადგენა და ძირითადი წესები;
3. კონფიდენციალობა;
4. მოწვევა დაწყებისთვის;
5. მოდავები ჰყვებიან ისტორიებს;
6. პრობლემის ფორმულირება და ჩარჩოს ცვლილება (Reframing and restating);
7. ღია კითხვების დასმა;
8. შეჯამება;
9. ტვინის შტურმის ვარიანტები;
10. დასკვნა.

## ზღაპრისეული მედიაციის როლური გათამაშება

ოქროს კულულა და დათვის ბელი  
(Goldilocks and Baby Bear)

ოქროს კულულამ და დათვის ბელმა მიმართეს მედიაციას, რადგანაც ისინი ვეღარ უგებენ ერთმანეთს. დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ მეგობრენი, მაგრამ ბოლო დროს რაღაც მოხდა, რის შემდეგაც შეიცვალა მათი ურთიერთობა.

მედიატორები: ესალმებიან;

კონფიდენციალობა;

საბაზისო წესები (კეთილგანწყობა, ნუ შეაწყვეტინებ, ნუ დაუძახებ ზედმეტ სახელს);

ვის სურს რომ დაიწყო?

**დათვის ბელი:** მე მინდა დავიწყო, რადგანაც შემოიჭრა ჩემს სახლში და ჩემი სკამი გატეხა.

**მედიატორი 1:** ოქროსკულულა, რას გრძნობ როდესაც დათვის ბელი ამას ამბობს?

**ოქროსკულულა:** მე არ შეგჭრილვარ მის სახლში!

**მედიატორი 2:** თქვენ ორივეს გაქვთ მნიშვნელოვანი სათქმელი, მე გარწმუნებთ, რომ ჩვენ მოვისმენთ, თითოეულ თქვენგანს. რომელს გაქვთ სურვილი, დაიწყოთ?

**დათვის ბელი:** ოჰ, ამას არ აქვს მნიშვნელობა, თუ მექნება საშუალება, მოვეყე ამ ისტორიის ნაწილი.

**ოქროსკულულა:** ღიახ, მას შეუძლია მოყვეს, მე შემდეგ ვილაპარაკებ.

**მედიატორი 1:** კარგი, მაშ მოგვიყევი რა მოხდა შენთვის, დათვის ბელო?

დათვის ბელი გრძნობდა, რომ ის და ოქროსკულულა იყვნენ კარგი მეგობრები მრავალი წლის განმავლობაში. რამდენიმე კვირის წინ, როდესაც დათვის ბელი და მისი ოჯახის წევრები წასულები იყვნენ სასეირნოდ, ოქროსკულულა შეიჭრა მათ სახლში, ისე როგორც საკუთარ სახლში. დათვის ბელმა აღიქვა, ეს როგორც საშინელი რამ, მსგავსი, თითქოს ვიღაც ძარცვავს სახლს და ამიტომაც მისმა მეგობარმა დაკარგა ნდობა. ამ ყველაფრის შემდეგ, შეჭამა მათი საჭმელი, მიმოიარა მთელი სახლი, სანამ არ დაეძინა მათ ლოგინში! ყველაზე ცუდი კი ისა არის, რაც მას არც კი ალუნიშნავს, რომ გატეხა მისი საყვარელი სკამი, რომელიც ბაბუამ გაუკეთა!

**მედიატორი 1:** ამგვარად... (რეფრეიმინგი). სწორია? (დათვის ბელს);

**მედიატორი 2:** ოქროსკულულა, შენ რა გინდა გვითხრა იმის შესახებ, რაც მოხდა?

ოქროსკულულა განადგურებულია იმის გამო, რომ დათვის ბელი ფიქრობს, ის „შეიჭრა“ მათ სახლში. ის დადიოდა მათთან წლების განმავლობაში და თავს გრძნობდა ოჯახის ნაწილად, ამიტომაც როდესაც მივიდა და კარი იყო ღია, თან სახლშიც არავინ დახვდა, იფიქრა რომ მალე დაბრუნდებოდნენ და გადაწყვიტა დალოდებოდა.

**დათვის ბელი:** (ერთვება) მაგრამ შენ შეჭამე ჩვენი ფაფა და გეძინა ჩვენს ლოგინში!!!

**მედიატორი 1:** ძალიან გთხოვთ, გაითვალისწინოთ, თქვენ შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ, მაგრამ ნუ გააწყვეტინებთ, ჩვენ, თითოეულ თქვენგანს მოგცემთ შესაძლებლობას, უპასუხოთ იმას, რასაც ამბობს მეორე მხარე.

**ოქროსკულულა:** შენ მართალი ხარ, მე შევვჭამე ცოტაოდენი ფაფა. მშვიოდა, მას კი ისეთი კარგი სურნელი ჰქონდა.

**მედიატორი 2:** ამრიგად... (რეფრეიმინგი) სწორია?

**მედიატორი 1:** დათვის ბელო, შეგიძლია გვითხრა, რას გრძნობ ამის მერე?

დათვის ბელი ამბობს, რომ ეს სიმართლეა, ოქროსკულულა იყო მისი ოჯახის მეგობარი დიდი ხნის განმავლობაში და ამიტომაც ყოველთვის უხაროდათ მისი მისვლა, თუ ისინი დახვდებოდნენ სახლში, მისი სიარულიც საერთოდ არ აღიქმებოდა უცნაურად.

მან ასევე დაამატა, რომ დედამისის ფაფას აქვს საშინელი გემო და სუნი. მაგრამ... ის მაინც გრძნობს, რომ მან უღალატია მისი ნდობისთვის.

**მედიატორი 1:** (რეფრეიმი)

**მედიატორი 2:** ოქროსკულულა, არის კიდევ რამე, რისი დამატებაც გსურს?

ოქროსკულულა კვლავ დამწუხრებულია, რადგანაც დათვის ბელი ფიქრობს, რომ მან დაკარგა მისი ნდობა. რატომ არის ასეთი ნაწყენი ამ სისუღელის გამო? ის ყოველთვის მიდიოდა მათთან სახლში, ჭამდნენ ერთად და იყვნენ მეგობრები დიდი ხნის განმავლობაში.

**მედიატორი 1:** (რეფრეიმინგი და დამატება), ეს ისე ჟღერს, თითქოს შენ კვლავ დაბნეული ხარ იმის გამო, თუ როგორ გექცევა დათვის ბელი.

**ოქროსკულულა:** ეს სიმართლეა. მე არ ვფიქრობდი, რომ არასწორი იყო და არასდროს მოვიქცეოდი ასე, რომ მეფიქრა მათ ეს არ მოეწონებოდათ.

**დათვის ბელი:** თუმცა, შენ ხომ შეგეძლო მოგეცადა სამზარეულოში და არ გეველო მთელ სახლში?

**მედიატორი 2:** ოქროსკულულა შეგიძლია უპასუხო იმაზე, რასაც გეუბნება დათვის ბელი?

**ოქროსკულუღა:** ნამდვილად, ძალიან ვწუხვარ, შენ, ალბათ, მართალი ხარ, სამხარეულოში უნდა დაგლოდებოდით.

**მედიატორი 1:** ამგვარად (რეფრეიმინგი). არის კიდევ რამე რისი დამატებაც გსურს?

**ოქროსკულუღა:** არა

**მედიატორი 2:** დათვის ბელო?

**დათვის ბელი:** დიას, მაგრამ... ვფიქრობ, შემიძლია მისი ნდობა.

**მედიატორი 1:** შეგიძლია, აღნიშნო უფრო მეტად ამის შესახებ?

**დათვის ბელი:** (კვლავ განაწყენებული) კი, მე შემიძლია. ვფიქრობ, რომ ის იყო ჩემი კარგი მეგობარი, მაგრამ ახლა აღარ შემიძლია მისი ნდობა. მე ვიცი, რომ ყოველთვის მოდიოდა ჩვენს სახლში, მაგრამ, ამჯერად, როდესაც დავბრუნდით, მან მოიარა მთელი სახლი, ჭამა ჩვენი საჭმელი და შემდეგ... მე ჩემი საყვარელი სკამი ვნახე გატეხილი, ის, რომელიც ბაბუამ, ჩემთვის გააკეთა. ამან გული მატკინა, რადგანაც აღარასდროს გაკეთდება.

**მედიატორი 2:** ამგვარად, ის, რაც მესმის, ეს სკამი ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია შენი ცხოვრების და ამიტომაც გული გტკივა, ის ვერასდროს გამთელდება.

**დათვის ბელი:** ეს სიმართლეა! ჩემი ბაბუა გარდაიცვალა და ეს იყო ერთადერთი რამ, რაც მხოლოდ ჩემთვის გააკეთა, როგორ შევძლებ ახლა მის გამთელებას?

**ოქროსკულუღა:** ოჰ, დათვის ბელო, ძალიან ვწუხვარ. წარმოდგენაც კი არ მქონდა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს სკამი შენთვის, მე ვიფიქრე, რომ სათამაშო სკამი იყო თუ რაღაც მსგავსი, ნამდვილად ძალიან ვწუხვარ.

**მედიატორი 1:** ამგვარად, იმისთვის რომ ყველაფერი ნათელი გახდეს, შენ თქვი, რომ შეხვედი დათვის ბელის სახლში, შეჭამე ფაფა და გეძინა მის ლოგინში, ასევე გატეხე მისი საყვარელი სკამი. სწორია?

**ოქროსკულუღა:** დიას, მე ნამდვილად ვწუხვარ, რომ ასე მოხდა; წარმოდგენაც არ მქონდა თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო ეს სკამი მისთვის.

**მედიატორი 2:** დათვის ბელო, არის კიდევ რამ, რაც გჭირდება ამ მედიაციისგან?

**დათვის ბელი:** არა. მე მჯერა, რომ ოქროსკულულამ გატეხა ჩემი საყვარელი სკამი შემთხვევით და მან არ იცოდა, როგორი მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. მე მასზე აღარ ვბრაზობ.

**მედიატორი 1:** ოქროსკულულა, შენ კიდევ გჭირდება რამ ამ მედიაციისგან?

**ოქროსკულულა:** არა, იმედი მაქვს, რომ დათვის ბელი და მე შევძლებთ კვლავ დამეგობრებას და სკამს ერთად შევაკეთებთ.

**მოდერატორი 2:** მაღლობა მსურს გადაგიხადოთ ორივეს, მედიაციასზე მოსვლისთვის.

4

დანართი

## გახსნის მარტივი განცხადება

### (1 ვარიანტი)

მოგესალმებით მედიაციაზე. დღეს ჩვენ ვართ თქვენი მედიატორები: \_\_\_\_\_ და \_\_\_\_\_;

ჩვენ გვსურს თავი იგრძნოთ მაქსიმალურად კომფორტულად. მედიაცია ქმედითი პროცესია, რომელიც გეხმარებათ გაერკვეთ საკითხებში, უკეთ გაუგოთ ერთმანეთს. ჩვენ აქ არ ვართ იმისათვის, რომ თქვენ ნაცვლად მოვავაროთ პრობლემები, არამედ უნდა დაგეხმაროთ გადაწყვეტილებების მიღებაში, თუ როგორ სჯობს, რომ გაუმკლავდეთ.

ჩვენ გვინდა დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერი, რაზეც ვისაუბრებთ მედიაციის განმავლობაში, არის კონფიდენციალური, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება წამლის მოხმარებას, (იარაღის ხმარებას) და ნებისმიერი სახის მუქარას. ამ შემთხვევაში, ვაცნობებთ ჩვენს კოორდინატორს ან სხვა ზრდასრულს. გაქვთ რამე ძირითადი წესი, რაც, გრძნობთ, რომ საჭიროა ამ მედიაციის განმავლობაში? კიდევ რაიმე? ძალიან კარგი. ვის სურს რომ დაიწყოს?

## გახსნის განაცხადის „ჩეკ-ლისტი“

(Option 2 from Maine Law & Civics Education)

**შესავალი:** გამარჯობა, ჩემი სახელი არის \_\_\_\_\_, ეს არის \_\_\_\_\_ და ჩვენ ვართ მედიატორები. მაგალითი მობრძანებისთვის, რა გქვიათ?

**ნებაყოფლობითობა:** მედიაცია ნებაყოფლობითია. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ თქვენ აირჩიეთ მედიაცია, როგორც თქვენი კონფლიქტის გადაწყვეტის მეთოდი.

**მიზანი:** მედიაციის მიზანი ორისთვის არის საუბარი კონფლიქტის შესახებ და ერთმანეთის მოსმენა. ჩვენ დაგეხმარებით, რომ უკეთ გაუგოთ ერთმანეთს და გადაწყვიტოთ როგორ მოაგვაროთ ეს კონფლიქტი.

**როლი:** ჩვენ აქ ვართ იმისთვის, რომ მოვისმინოთ, არ ვემხრობით ვინმეს და არ განვსჯით.

**კონფიდენციალობა:** მედიაცია კონფიდენციალურია, არაფერი ტოვებს ამ ოთახს, რაც ითქმება მედიაციის პროცესში, გარდა იმისა, თუ ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ თქვენ ან ვინმე საფრთხეში იმყოფება, რის შემდეგაც ამის შესახებ ჩვენ ვაცნობებთ კოორდინატორს.

**უსაფრთხო გარემო:** მედიაციისას ჩვენ ვქმნით უსაფრთხო გარემოს ადამიანებისთვის, რათა მათ ილაპარაკონ. ჩვენ გთხოვთ, რომ:

- ▶ რიგ-რიგობით ილაპარაკოთ და მოისმინოთ;
  - ▶ მოიქცეთ პატივისცემით;
  - ▶ ძალისხმევა მოიხმოთ თანამშრომლობისთვის;
- არის რაიმე სხვა გეგმა, რისი შემოთავაზებაც შეგიძლიათ?

**კითხვები:** გაქვთ კიდევ რაიმე კითხვა, სანამ დავიწყებდეთ?



## ფორთოხლის ისტორია

და და ძმა ჩხუბობენ ფორთოხლის გამო;

„მე მინდა ეს ფორთოხალი“ - ყვირის ბიჭი.

„დამიბრუნე ჩემი ფორთოხალი“ - საპასუხოდ ყვირის გოგონა.

ისინი ჩხუბობენ, აქვთ გაწევ-გამოწევა, სანამ დედა არ მოვა, აიღებს ფორთოხალს, ჭრის შუაზე და თითოეულ მათგანს აძლევს ნახევარს.

„ასე“ - ამბობს დედა, „ეს დაასრულებს თქვენს ჩხუბს“, მაგრამ ბავშვები ძველებურად არ არიან ბედნიერები. რატომ? (გეკითხებით მოსწავლეებს გამოსაცნობად)

ბავშვები არ არიან ბედნიერები იმის გამო, რომ ბიჭს სჭირდებოდა მთელი ფორთოხლის წვენი იმ საჭმელისათვის, რასაც ის ამზადებდა, ხოლო გოგონას სჭირდებოდა მთელი ფორთოხლის კანი იმ პროექტისათვის, რაზეც ის მუშაობდა.

დედას არ უცდია ეპოვნა მათი მთავარი ფარული საჭიროებანი, ამიტომაც ვერ მოახერხა გადაეჭრა პრობლემა.

## მარტივი დახურული კითხვები.

წუხართ ამის გამო?

ძალიან გაბრაზდით, როცა გაიგეთ ამის შესახებ?

ამან გაგაღიზიანათ?

გინდოდათ, რომ დაგერტყათ მისთვის?

ამან გაგაოცათ?

სიმართლეს ამბობთ?

ამან გაგაბრაზათ?

შეგეშინდათ?

ეს გახსოვთ?

დარწმუნებული ხართ, რომ ასე მოხდა?

გვერათ ამის?

## დახურული კითხვები ღია დასასრულით, მათი რეფრეიმინგისათვის

წუნხართ ამის გამო?

(როგორ გრძნობთ თავს ამის გამო?)

ძალიან გაბრაზდით, როცა გაიგეთ ამის შესახებ?

(რა იგრძენით, როცა ეს გაიგეთ?)

ამან გაგაღიზიანათ?

(როგორ გაგრძნობინათ ამან თავი?)

გინდოდათ, რომ დაგერტყათ მისთვის?

(რა გსურდათ, რომ ამ დროს გაგეკეთებინათ?)

ამან გაგაოცათ?

(რას გრძნობდით ამის მოსმენისას?)

სიმართლეს ამბობთ?

(შეგიძლიათ კიდევ რაღე თქვათ ამის შესახებ?)

ამან გაგაბრაზათ?

(როგორ გაგრძნობინათ ამან თავი?)

შეგეშინდათ?

(როგორ გაგრძნობინათ ამან თავი?)

განსოვდათ ამის შესახებ?

(თქვენ რა განსოვდა?)

დარწმუნებული ხართ რომ ასე მოხდა?

(შეგიძლიათ თქვათ მეტი, თუ როგორ მოხდა ეს?)

გჯერათ ამის?

(რას ფიქრობთ ამის შესახებ?)

## ბორინგის ორაზროვანი ნახატი



## კონფლიქტები განსხვავებული ხედვის წერტილებიდან

1. მოსწავლეების ჯგუფი ერთად ყოველდღე სადილობს. ერთხელაც, ახლად გადმოსული სტუდენტი, რომელსაც აცვია ძალიან განსხვავებული, შეეცადა შეერთებოდა მათ სადილის დროს. მოსწავლეებმა მიზანმიმართულად შეაქციეს ზურგი. რა იქნებოდა ამ სიტუაციის განსხვავებული ხედვა: ახალი მოსწავლისგან, ამ ჯგუფში მყოფი მოსწავლისგან, დირექტორისაგან, რომელიც ხედავს თუ რა ხდება, სხვა მოსწავლისაგან რომელიც იქვე ზის.
2. სამი მოსწავლე ჩაერთო ჯგუფურ პროექტში: გიორგი, ნიკა და გურამი. მოსწავლეებმა სამუშაო თანაბრად გაინაწილეს და დაეგემეს აღნიშნული ნაწილების შეერთება ერთ კვირაში. ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, გიორგის არ ჰქონდა სამუშაო გაკეთებული, თუმცა, კვლავ სურდა კრედიტ-ქულები ამ სამუშაოსთვის, ნიკა დაეთანხმა, მაგრამ გურამი არა. განიხილეთ განსხვავებული ხედვიდან: გიორგი,

ნიკა, გურამი, მასწავლებელი.

3. ნინო და ქეთი იყვნენ საუკეთესო მეგობრები, მრავალი წლის განმავლობაში, როდესაც ახალი სასწავლო წელი დადგა, ქეთიმ დიდი დროის გატარება დაიწყო ახალ მოსწავლე გოგონასთან, თაკოსთან, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა სკოლაში. ამის შემდეგ ნინო იგებს, რომ ქეთი ჰყვება მის შესახებ არასასიამოვნო ისტორიებს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ილაპარაკეთ განსვავებული ხედვიდან: ნინოს, ქეთის და თაკოს.
4. შენ გახდი ახალი მოსწავლის, კატოს მეგობარი. რამდენიმე კვირის მერე, კატო იტყუება ტესტირებისას, რომ იწერს შენგან. მასწავლებელი იგებს ამის შესახებ და ორივეს უწერს დაბალ ქულას. წარმოიდგინეთ პრობლემის ხედვა: კატოს მხრიდან, თქვენი მხრიდან, მასწავლებლის, ასევე კატოს უმცროსი დის და თქვენი მშობლების მხრიდან.
5. ყოველდღე, სადილობისას, თქვენ ხედავთ დიდ, უხეშ მოწაფეს, რომელიც აჯავრებს უმცროს, მასზე პატარა მოსწავლეს. დანარჩენებიც ხედავენ ამას, თუმცა, არავინ ერევა. რა არის ის განსხვავებული ხედვა ამ სიტუაციაში: ბულერისგან, იმ ბავშვისგან ვისაც აწვალავენ, შენგან, მორიგე მასწავლებლისგან, სხვა მოსწავლისგან, რომელიც ზის პატარა მოსწავლის გვერდით, ბულერის მეგობრისგან.
6. სამეცნიერო გამოფენისას, ელენე და ბექა, რომლებიც არიან კარგი მეგობრები, მაგიდას ინაწილებენ თავიანთი პროექტებისათვის. მათ საერთო მეგობარს, მერაბს, აქვს მაგიდის ადგილი ელენეს და ბექას წინ. მეცნიერების მასწავლებელი დადის კორიდორში, რომ შეაფასოს პროექტები. ელენე ეძახის ბექას, რომელიც ბოთლიდან სვამს წყალს და გადაწყვეტს დატოვოს თავისი პროექტი რამდენიმე წუთით, რათა თავისთვისაც მოიტანოს წყალი, როდესაც ბრუნდება ხედავს, რომ მაგიდაზე, მის ნახევარზე, წყალია დაღვრილი. ილაპარაკეთ ამ სიტუაციის განსხვავებულ ხედვაზე: ელენეს, ბექას, მერაბის და მეცნიერების მასწავლებლის გადმოსახედიდან.

## მარტივი სცენარები, როლური გათამაშება.

### (თანატოლთა მედიაციის ტრენინგისა და გავარჯიშებისთვის)

1. მოღვაწეებმა, გიორგიმ და ქეთიმ, იჩხუბეს ფრენბურთის თამაშის გამო და გადაგზავნილები არიან მედიაციისთვის. გიორგის უნდა, რომ ბიჭები იყვნენ გოგონების წინააღმდეგ, ხოლო ქეთის აზრით, შერეული გუნდი უფრო სამართლიანი იქნება.
2. სალომემ პეტრეს ათხოვა თავისი ფანქრების ახალი ნაკრები, როდესაც პეტრემ ისინი დააბრუნა, რამდენიმე ფანქარი გატეხილი იყო. პეტრემ უთხრა, რომ ეს ფანქრები ასეთ მდგომარეობაში დახვდა, სალომემ კი თქვა, ადრე ფანქრები მთელი იყო. ისინი გადაამისამართეს მედიაციისათვის.
3. ლილიმ წაიღო ახალი CD პლეერი სკოლაში, რაღაც დროის შემდეგ, მან აღმოაჩინა რომ პლეერი დაიკარგა. მოგვიანებით დაინახა, რომ გივის აქვს ეს პლეერი ჩანთის უკანა ჯიბეში, ის იფიცებოდა, რომ ეს მისი პლეერია. ისინი გადაამისამართეს მედიაციისათვის.
4. ნოდარს არ უნდა, რომ მცირე ასაკის მოსწავლეებმა ფეხბურთი ითამაშონ, ანდროს კი, რომელიც მეოთხე კლასშია, სურს თამაში, ისინი ვერ შეთანხმდნენ, ამიტომაც გადაამისამართეს მედიაციისათვის.

**მოსწავლე 1ა:** მოელაპარაკე შენს უახლოეს მეგობარს, რომ პარასკევს, საღამოს, დარჩები მის სახლში ღამისთევით, როდესაც სხვა ბავშვებმა გთხოვეს მათთან ერთად წასვლა ზუსტად იმ საღამოს, შენ გადაწყვიტე, რომ წახვიდე მათთან ერთად, მიუხედავად ადრინდელი გადაწყვეტილებისა, რათა უკეთ გაიცნო ისინი. ამის გამო საუკეთესო მეგობარი შენზე ძალიან ბრაზობს.

**მოსწავლე 1ბ:** ძალიან გახარებული ხარ, რადგანაც შენი საუკეთესო მეგობარი მოდის შენთან ღამის გასათევად პარასკევს, საღამოს. თქვენ ორნი ხშირად ერთმანეთთან რჩებით, თითქმის ყოველ კვირა. ამჟამად, უკვე დიდი ხანია, რაც ეს შანსი არ მოგცემიათ. მოულოდნელად, შენმა მეგობარმა გითხრა, რომ გადაწყვიტა კინოში წასვლა სხვა ბავშვებთან ერთად, შენთან დარჩენის სანაცვლოდ. ძალიან გაბრაზებული ხარ, უფრო მეტად იმედგაცრუებული და მოტყუებული.

**მოსწავლე 2ა:** ახლახანს იყიდე ახალი CD პლეერი და უსმენ მთელი დღის განმავლობაში. როდესაც მეგობარი გთხოვს, რომ მისცე მთელი ღამით, ძალიან არ გინდა, თუმცა, გადაწყვიტავ, რომ ერთი ღამით ათხოვო. თხოვ, რომ გაუფრთხილდეს. მეორე დღეს გიბრუნებს ამ პლეერს, თუმცა, აღმოაჩენ რომ ერთი ჩამრთველი გაფუჭებულია. შენ ძალიან გწყინს, არა მარტო იმის გამო, რომ შენი ნივთი გააფუჭა, მიუხედავად გაფრთხილებისა, არამედ იმიტომ, რომ არ გითხრა ამის შესახებ.

**მოსწავლე 2ბ:** შენი მეგობრის პლეერს მთელი ღამით თხოულობ. ძალიან გინდა ასეთი, მაგრამ ვერ ახერხებ მის ყიდვას. მეგობარი გთხოვს, კარგად გაუფრთხილდე ამ ნივთს. სანამ შენს საშინაო დავალებას აკეთებ, მეორე სართულზე, შენი პატარა ძმა იღებს ამ პლეერს ჩანთის უკანა ჯიბიდან და უვარდება იატაკზე, ერთ-ერთი ჩამრთველი გატეხილია. შენ ძალიან ცუდად გრძნობ თავს ამის გამო, წუხარ, რადგანაც ვერ ახერხებ მის დაფიქსირებას ან ახლის ყიდვას. მეორე დღეს, როდესაც ამ ნივთს უკან აბრუნებ, არაფერს ამბობ იმის შესახებ, რაც მოხდა.

**მოსწავლე 3ა:** დაწყებითი კლასებიდან მეგობრობ შენი თანაკლასელების უმრავლესობასთან, თუმცა, აღმოაჩინე რომ თავს არაკომფორტულად გრძნობ, მათი გადაწყვეტილების გამო. ნამდვილად არ გსურს მათი მეგობრობის დაკარგვა, განსაკუთრებით, იმიტომ რომ სულ ცოტა ხანში სწავლას აგრძელებ უმაღლეს სკოლაში, ზუსტად ამის გამო, შიშობ, თუ როგორ იმოქმედებს შენზე ეს გადაწყვეტილებები.

**მოსწავლე 3ბ:** შენი მეგობარი უგულოდ გექცევა და იმის გამო, რომ მეგობრობთ დაწყებითი კლასებიდან, ეს ყოველივე ძალიან გაწუხებთ. ერთი მხრივ, გინდა რომ იყო მზად უმაღლესი სასწავლებლისათვის და ახალი თავგადასავლებისთვის, მაგრამ, მეორე მხრივ, არ გინდა, რომ ჯერჯერობით ძველ მეგობრებს დაშორდე.

**მოსწავლე 4ა:** რამდენიმე მეგობარი დაუმეგობრდა უფროსი ასაკის ბავშვებს შენი სამეზობლოდან. შენ შფოთავ იმ ფაქტის გამო, რომ ისინი იმ გარემოში არიან, რომელსაც თავს არიდებდი, მაგრამ ისიც მტკივნეულია, რომ არ იყო მეგობრებთან ერთად. ბუნდოვნად გახსოვს, რომ შენს უფროს ძმასაც ჰქონდა მსგავსი პრობლემა, თუმცა, არ გახსოვს როგორ მოგვარდა ეს პრობლემა.

**მოსწავლე 4ბ:** დაუმეგობრდი უფროს ბავშვებს შენს სამეზობლოში და დიდ დროს ატარებ მათთან, თუმცა, ისინი ეწევიან, სასმელზე ლაპარაკობენ. შენ ნამდვილად არ გინდა ასეთი რამის გაკეთება, მაგრამ გსურს, რომ იყო ამ ჯგუფის ნაწილი.

**მოსწავლე 5ა:** ბოლო დროის განმავლობაში, გაქვს სტრესული სიტუაცია სახლში და ამიტომაც სკოლაში მუდმივად დაძაბული და გაღიზიანებული ხარ, შენს საყვარელ მასწავლებელსაც კი წაეკიდე, ვერავინ ხვდება თუ რა ხდება შენს თავს.

**მოსწავლე 5ბ:** შენს ერთ მეგობარს აქვს პრობლემები ყველასთან სკოლაში, ერთხელაც დიდ შარში გაეხვია, რაც მისთვის დამახასიათებელი არაა. შენ გრძნობ, რომ გინდა დაეხმარო, თუმცა, წარმოდგენა არ გაქვს, რა უნდა უთხრა მას.

**მოსწავლე 6ა:** მთელი კლასის ბავშვები თამაშობენ ფეხბურთს, დასვენების დროს. მამისგან ახლახანს მიიღე დაბადების დღის საჩუქრად ფეხბურთის ახალი ბურთი და ახლა ყველას სურს ამ ბურთით თამაში. შენ არ ეწინააღმდეგები, თუმცა, გემინია, რომ ბურთი გაგიფუჭდება.

**მოსწავლე 6ბ:** მთელი კლასი თამაშობს ფეხბურთს, ერთ-ერთ თანაკლასელს აქვს ფეხბურთის ახალი ბურთი, რომლის გაფრთხილებასაც გთხოვს თამაშის განმავლობაში. შენ არ ხარ წინააღმდეგი, გაუფრთხილდე ბურთს, მაგრამ არ მოგწონს, როდესაც არ გენდობიან.

## დამხმარე კითხვები მედიატორებისთვის

(მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას და როლური გათამაშების დროს გამოსაყენებლად)

1. რის შესახებ ისურვებდით დალაპარაკებას?
2. შეგიძლიათ უფრო დაზუსტებით გვიამბოთ (მეტი გვითხრათ) ამის შესახებ?
3. თქვენში ეს რა გრძნობებს იწვევს?
4. შეგიძლიათ გვითხრათ, რა მოხდა აქ?
5. თქვენ რა გინდათ ან რა გჭირდებათ?
6. რა არის ის, რაც ყველაზე მეტად გაწუხებთ ამის გამო?
7. რა იდეები გაქვთ ამის შესახებ?
8. რას ისურვებდით, რომ მომხდარიყო?
9. არის კიდევ რამე, რის შესახებაც ისურვებდით საუბარს?
10. როგორ გგონიათ, რა დაგეხმარებათ ახლა, ამ წუთას?
11. იმისთვის რომ უკეთ გავუგოთ ერთმანეთს, შეგიძლიათ გაგვიმეოროთ ის, რაც მოისმინეთ \_\_\_\_\_-გან, ამ სიტუაციის შესახებ და გვითხრათ, თუ როგორ გრძნობს თავს ამის გამო?
12. რას ისურვებდით, რომ \_\_\_\_\_ გაიაზროს ამ სიტუაციის შესახებ?
13. რა უნდა შეიცვალოს შენთვის, რომ თავი უკეთ იგრძნოთ ამ სიტუაციაში?
14. არის რამე ისეთი, რისი გაკეთებაც შეგიძლია, ამ სიტუაციის გასაუმჯობესებლად?
15. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს კარგად მესმის, შეგიძლიათ დამეხმაროთ, უკეთ გავიგო?
16. რას გააკეთებთ სხვაგვარად იმ შემთხვევაში, თუ ეს კონფლიქტი განმეორდება?
17. გრძნობთ იმას, რომ ეს კონფლიქტი მოგვარებულია?
18. როგორ გსურთ, რომ ეს მედიაცია დასრულდეს?



## თანატოლთა მედიაციის პროგრამის განაცხადი

თანატოლთა მედიაციის პროგრამა \_\_\_\_\_ სკოლაში.

\_\_\_\_\_ სასწავლო წლისათვის.

მოსწავლე იწვევს მოხალისეებს იმისათვის, რომ დაეხმარონ დანარჩენ მოსწავლეებს, მართონ საკუთარი კონფლიქტები. კონფლიქტურ საკითხებში მეტად გარკვევისა და მხარეების ჩართულობის საშუალებით. თანატოლთა მედიატორად ყოფნა არის მნიშვნელოვანი საშუალო, რაც მოითხოვს ერთ-გულეობასა და საიმედოობას. მედიატორებისაგან მოელიან, როგორც სასკოლო სამუშაოსთან გამკლავებას, ასევე კონსტრუქციული ქცევის როლურ მოდელად ყოფნას, მთელი დროის განმავლობაში.

თუ თქვენ ხართ დაინტერესებული და გნებავთ, გახდეთ მედიატორი შემდეგი წლისათვის, გთხოვთ შეავსოთ „თანატოლთა მედიატორის განაცხადი“ და „თანატოლთა მედიატორის პასუხისმგებლობის შეთანხმება“, სთხოვეთ ერთ მეგობარს და ერთ ზრდასრულს, შეავსონ „რეფერირების ფურცლები“ და მოგვიტანეთ ოთხივე ფორმა უკან

\_\_\_\_\_ -სთვის \_\_\_\_\_ გან

დასრულებული განაცხადის მიღების შემდეგ, ჩავინიშნავთ მოკლე ინტერვიუს თოთოეული მონაწილისთვის. შემდგომი წლის თანატოლთა მედიატორების შერჩევა გამოცხადდება სკოლის დამთავრების დღეს.

გთხოვთ, თუ გაქვთ რაიმე შეკითხვა, მიმართოთ \_\_\_\_\_

## თანატოლთა მედიატორის განაცხადი

\_\_\_\_\_ სასწავლო წლისათვის

სახელი: \_\_\_\_\_

კლასი: \_\_\_\_\_

მშობლის/მეურვის სახელი: \_\_\_\_\_

მისამართი: \_\_\_\_\_

ტელეფონი: \_\_\_\_\_

1. რატომ დაინტერესდით, რომ გახდეთ თანატოლთა მედიატორი?
2. რა უნარებს ფლობთ, რომლებიც ფიქრობთ, რომ დაგეხმარებათ გახდეთ წარმატებული მედიატორი?
3. ორ მოსწავლეს აქვს კონფლიქტი სათამაშო მოედანზე. აღწერეთ როგორ შეძლებდით დახმარებას, როგორც მედიატორი;
4. რას გრძნობთ, როგორ პასუხობთ კონფლიქტებს თქვენს საკუთარ ცხოვრებაში?
5. მოკლედ აღწერეთ, რას ფიქრობთ, რა გავლენას იქონიებს თანატოლთა მედიატორია ჩვენს სკოლაზე?

\_\_\_\_\_

მოსწავლის ხელმოწერა

\_\_\_\_\_

მშობლის/მეურვის ხელმოწერა

## თანატოლთა მედიატორის სარეკომენდაციო წერილი

თანატოლთა მედიატორობის მსურველის სახელი:

---

თქვენი სახელი: \_\_\_\_\_

რა ურთიერთობა გაქვთ მედიატორობის მსურველთან:

---

1. რას გრძნობთ, რა თვისებები აქვს ამ მოსწავლეს, რაც აქცევს მას კარგ თანატოლთა მედიატორად?
2. აღწერეთ რას გრძნობთ, როგორ რეაგირებს ეს მოსწავლე თავის პირად კონფლიქტებზე?
3. რას გრძნობთ, რამდენად კარგად შეუძლია ამ მოსწავლეს პასუხისმგებლობის აღება, რომ იყოს როლური მოდელი თქვენი სკოლის საზოგადოებისათვის?
4. როგორ გესახებათ ეს მოსწავლე, იქნება ერთგული და საიმედო იმ საქმიანობაში, რაშიც მონაწილეობის მიღება სურს?

დამატებითი კომენტარები:

გმადლობთ!

## თანატოლთა მედიატორის პასუხისმგებლობის შეთანხმება

მოსწავლე \_\_\_\_\_

დაინტერესებული ვარ იმ უნარების შესწავლით, რაც დამეხმარება გავხედე თანატოლთა მედიატორი ჩვენს სკოლაში. კარგად მესმის ამ სამუშაოს პასუხისმგებლობა, რაც მოიცავს საკლასო მოვალეობების შესრულებას და ამასთან, პოზიტიურ როლურ მოდელად ყოფნას. სურვილი მაქვს, რომ დავუთმო დრო და მივაწოდო იდეები ამ სამუშაოს შესრულებას, ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

მოსწავლის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

მშობელი: \_\_\_\_\_

ჩემი შვილი მესაუბრა მედიატორის როლის შესახებ. მე მზად ვარ, დავუჭირო მხარი მის ძალისხმევას და მესმის ამ მოსწავლეთა პასუხისმგებლობის შესახებ.

მშობლის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

თანატოლთა მედიაციის კოორდინატორი: \_\_\_\_\_

ზემოაღნიშნული მოსწავლე გამესაუბრა მისი სურვილის შესახებ, რომ იყოს თანატოლთა მედიატორი და ჩვენ შევთანხმდით სამუშაო პასუხისმგებლობებზე.

კოორდინატორის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

## თანატოლთა მედიაციის რეფერალი

მოსწავლეები:

---

და

---

საჭიროებენ დახმარებას კონფლიქტში:

\_\_\_\_\_ დაუყოვნებელი

\_\_\_\_\_ დაგეგმილი

ეს შემთხვევა მოხდა:

\_\_\_\_\_ სათამაშო მოედანზე

\_\_\_\_\_ ავტობუსში

\_\_\_\_\_ საკლასო ოთახში

\_\_\_\_\_ კაფეტერიაში

\_\_\_\_\_ სხვა \_\_\_\_\_

გადაამისამართა: \_\_\_\_\_ -ს მიერ

თარიღი: \_\_\_\_\_

## თანატოლთა მედიაციის შეთანხმების ფორმა

თარიღი: \_\_\_\_\_

მოდავე: \_\_\_\_\_ მედიატორი: \_\_\_\_\_

მოდავე: \_\_\_\_\_ მედიატორი: \_\_\_\_\_

კონფლიქტის ტიპები:

- ▶ ჩხუბი
- ▶ ჭორების გავრცელება
- ▶ მუქარა
- ▶ ზედმეტი სახელის დამახეხა
- ▶ საკუთრება
- ▶ გამოჯგავრება
- ▶ მეგობრობა
- ▶ ზეწოლა
- ▶ სხვა: \_\_\_\_\_

ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა მედიაციაში და შევთანხმდით:

მე, \_\_\_\_\_, ვეთანხმები რომ: \_\_\_\_\_

---

---

---

მე, \_\_\_\_\_, ვეთანხმები რომ: \_\_\_\_\_

---

---

---

\_\_\_\_\_

(ხელმოწერა, მოდავის)

\_\_\_\_\_

(ხელმოწერა, მოდავის)

\_\_\_\_\_

(ხელმოწერა, მედიატორის)

\_\_\_\_\_

(ხელმოწერა, მედიატორის)

არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტი  
[www.incgeo.org.ge](http://www.incgeo.org.ge)  
[info@incgeo.org](mailto:info@incgeo.org)

